სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

1. **სადოქტორო პროგრამის დასახელება:** ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება
Organizational and Personal Development

2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
PhD in Social Sciences

3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 30 კრედიტი.

4. **სწავლების ენა:** ქართული

5 . **სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები:** პროფესორი ნოდარ ბელქანია, თსუ
პროფესორი ფრიდრიხ გლაზლი, ზალცბურგი, ავსტრია

ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების სადოქტორო პროგრამაში გაერთიანებულია შემდეგი ქვედარგები:

- ✓ **ორგანიზაციიის განვითარება; კომუნიკაცია ორგანიზაციაში;** – ხელმძღვანელი პროფ. ნოდარ ბელქანია;
- ✓ **კონფლიქტები ორგანიზაციაში და მედიაცია**– ხელმძღვანელი პროფ. ფრიდრიხ გლაზლი;
- ✓ **პერსონალის განვითარება და კონსულტირების მეთოდები (Coaching)** – ხელმძღვანელი პროფ. ვერნერ ფოგელაუერი;
- ✓ **ლიდერობა** – ხელმძღვანელი პროფ. ნოდარ ბელქანია, დოქტორი ცირილ ჰერინგი.

6. .სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა;
- ✓ უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით;
- ✓ სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის (შესაბამისი ქვედარგის ხელმძღვანელის) თანხმობა;
- ✓ გასაუბრება სპეციალობაში; გასაუბრებაზე ასევე შეფასდება სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმა, რომელსაც წარმოადგენს დოქტორნატურაში ჩაბარების მსურველი (იხ. დანართი №1).

7. სადოქტორო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების სფეროს განვითარება აკადემიური პერსონალის მომზადებით, რათა მათ ხელი შეუწყონ საქართველოში კვლევის ამ მიმართულების პრაქტიკაში დანერგვას, სამეცნიერო დონეზე აყვანას და შემდგომ წინსვლას. პროგრამა მიზნად ისახავს ორგანიზაციის განვითარების სფეროში არსებული ცოდნის გაღრმავებას, ახალი ცოდნის შექმნას და გამოცდილების დაგროვებას. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დოქტორანტების მაღალი რანგის მეცნიერებად, მკვლევარებად და პრაქტიკოსებად ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების პროგრამის ფარგლებში დოქტორანტებმა, შესრულებული კვლევებით წარმოაჩინონ და საერთაშორისო ასპარეზე გაიტანონ საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელი ორგანიზაციული კულტურის, კონფლიქტების მოგვარების და მედიაციის თავისებურებანი საზღვარგარეთელი მეცნიერების და პრაქტიკოსების მოზიდვის მიზნით. აუცილებელია დოქტორანტებმა ხელი შეუწყონ საქართველოში ორგანიზაციის განვითარების კუთხით ჩატარებული კვლევების გავრცელებას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო აკადემიურ წრეებში.

ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების სადოქტორო პროგრამამ უნდა მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის თანამედროვე პროფესიული, მომსახურეობითი და საწარმოო ორგანიზაციების განვითარების კონსულტანტები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის შრომის ბაზარზე. აქედან გამომდინარე **პროგრამის მიზნებია:**

- ✓ დოქტორანტს მისცეს დარგის ფუნდამენტური ცოდნა;
- ✓ სიღრმისეულად შეასწავლოს კვლევის თანამედროვე მეთოდები, მათ შორის ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მეთოდები, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები;
- ✓ განუვითაროს მას დამოუკიდებლად სწავლისა და ახალი ცოდნის ათვისებისა და გათავისების, არჩეული სპეციალობის მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის, აგრეთვე სამეცნიერო გამოკვლევის შესრულების უნარი;
- ✓ ხელი შეეწყოს დოქტორანტს, გააცნობიეროს საკუთარი გზა მეცნიერებაში;
- ✓ გამოუმუშაოს მას წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- ✓ მოამზადოს იგი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებისათვის.

სავარაუდო საკვლევი თემატიკა:

- **ორგანიზაციის თეორია; კომუნიკაცია ორგანიზაციებში** - ორგანიზაციის განვითარების ფაზები; ჯგუფური დინამიკა ორგანიზაციაში; ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა ორგანიზაციისათვის; პროექტის მენეჯმენტი და ა.შ;
- **კონფლიქტები და მედიაცია ორგანიზაციებში** - კონფლიქტების ბუნება და ტიპები; **კონფლიქტების** ესკალაციის საფეხურები; კონფლიქტების მართვა; კონფლიქტების გამწვევის მიზეზები და მათი გადაჭრის მექანიზმები; კონფლიქტის მენეჯმენტი, მედიაცია და ა.შ.
- **კონსულტირების საფუძვლები და მეთოდები (Coaching)** - Coaching-ი როგორც კონსულტირების მეთოდი; Coaching-ის თეორიები; ორგანიზაციული ქცევა; სამუშაოს შესრულების ნაირსახეობები; მიზნების ფორმირება და ა.შ.
- **ლიდერობა** - ლიდერობის სტილი; ლიდერის ქმედებები; ლიდერობის თეორიები; პიროვნული ნდობის მოპოვება და ა.შ.

8. სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.	კურდამთავრებული ფლობს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნას და შეუძლია მისი ეკონომიკური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტების გააზრება–გაცნობიერება; ორგანიზაციათა სტრუქტურისა და დინამიკის, ასევე ორგანიზაციებში ადამიანური ფაქტორის და მისი როლის გაცნობიერება; ორგანიზაციის ელემენტებზე დაკვირვება და ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების სიღრმისეული ანალიზი, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე); ფლობს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფსების გზით, ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერების უნარს; იცის სადოქტორო თემის ირგვლივ ინტეგრაციული ცოდნის მოპოვება და გენერირება, მას შეუძლია იმ ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. სტუდენტს შეუძლია ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დანერგვა, განხორციელება და ზედამხედველობა; ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და ასახულია საერთაშორისო რეფერირებად

	პუბლიკაციებში; ფლობს ორგანიზაციის განვითარების სფეროში დამოუკიდებელი სამუშაოების ჩატარების უნარს; შეუძლია კურიკულუმების შედგენა; სასწავლო პროცესის წარმართვა და სწავლება; არსებული ცოდნის გაფართოება და ახალი საკონსულტაციო მეთოდების შექმნა და ამ ცოდნის სხვებისთვის გადაცემა; სადოქტორო თემის ირგვლივ ინტეგრაციული ცოდნის მოპოვება და გენერირება. სიტუაციის დამოუკიდებლად გაანალიზება, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემის გადაჭრა; შეუძლია ორგანიზაციისთვის აუცილებელი ინოვაციის – ორგანიზაციის განვითარებისა და კონსულტირების დანერგვა საქართველოში. კურსდამთავრებულს აქვს აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტების (სამეცნიერო ნაშრომი, რეცენზია და სხვ.) შექმნის, მათი შეფასებისა და პრეზენტაციის უნარი. შეუძლია ელექტრონული სწავლების საფუძვლების, მეთოდოლოგიის, ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის კვლევა/სწავლებაში დანერგვა. შეუძლია სამეცნიერო კვლევების შეფასება და კვლევის შედეგების სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან სათანადოდ წარმოჩინა, სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პროექტების შემუშავება ან/და დახვეწა პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის მიმზიდველი ფორმის მისაცემად. შეუძლია სილაბუსის და საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავება და შეფასება ბოლონიის პროცესის, ევროპული სტანდარტების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით; შეუძლია სწავლების თანამედროვე სტრატეგიების პრაქტიკულად განხორციელება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპებისა და კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვა; სწავლების ინტერაქტიური მეთოდების წარმატებით გამოყენება; შეუძლია შეადგინოს სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი პროგრამები/ პროექტები და სხვ. შეუძლია საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე ორგანიზაციის განვითარების სფეროს სამეცნიერო საზოგადოებასთან უახლესი სამეცნიერო მიღწევების გარკვევით და დასაბუთებულად წარმოჩენა; ახალი

	რთული და წინააღმდეგობრივი იდეების კრიტიკული ანალიზი, პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი გადაჭრისათვის საჭირო ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება. შეუძლია ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების სფეროში ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა როგორც ვერბალურად, ასევე წერილობითი სახით; ასევე ადგილობრივ თუ საერთაშორისო აკადემიურ წრეებთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე. შეუძლია კრიტიკის მიღება და პატივს სცემს განსხვავებულ აზრს. პროფესიული ამოცანების გადაჭრის მიზნით შეუძლია საკომუნიკაციო სტრატეგიებისა და ტაქტიკის და რიტორიკის კანონების ადეკვატურად გამოყენება. აქვს ორგანიზაციის განვითარების და კონსულტირების სფეროს უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა. ახალი შეხედულებების გაცნობის გზების, შესწავლის, ათვისების და ახალი ცოდნის შექმნის უნარი. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე აქვს ახალი იდეების/პროცესების გენერირების შესაძლებლობა. აქვს განვითარების და თვითგანვითარების მზაობა, სწავლის და პროფესიული საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში. შეუძლია დამოუკიდებლად წარმართოს სწავლის და სწავლების პროცესი. შეუძლია ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად საჭირო მეთოდების შემუშავება; პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა; სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციისთვის საჭირო ინტერპერსონალური კომუნიკაციების ფლობა. აქვს ტოლერანტობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა კოლეგებთან ურთიერთობისას. მოქმედებს სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. შეუძლია კრიტიკულად მიუდგეს არა მარტო სხვებს, არამედ საკუთარ თავსაც.

9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი კონფერენციებში მონაწილეობის, გაცვლითი პროგრამების, მულტინაციონალურ საკონსულტავიო ორგანიზაცია "ტრიგონში" სტაჟირების გზით და რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. ამისათვის იყენებს:

- ✓ დისკუსია/დებატები;
- ✓ წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ✓ დემონსტრირების მეთოდი;
- ✓ ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- ✓ წერითი მუშაობის მეთოდი;
- ✓ როლური და სიტუაციური თამაშები;
- ✓ ჯგუფური მუშაობა;
- ✓ პრეზენტაცია;

პროფესორი შეიძლება იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო–კვლევითი ამოცანის შესასრულებლად.

10.დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა: დოქტორანტის ცოდნა თითოეულ სასწავლო კურსში ფასდება 100 ქულიანი სისტემით

დაუშვებელია სტუდენტის (დოქტორანტის) სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს შუა სემესტრულ და სემესტრის დასკვნით შეფასებას.

თითოეულ საგანში საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულების რაოდენობა	ნიშანი	შეფასება
91-100	A	ფრიადი
81-90	B	ძალიან კარგი
71-80	C	კარგი
61-70	D	დამაკმაყოფილებელი
51-60	E	საკმარისი
41-50	FX	ვერ ჩააბარა (დოქტორანტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება)
0-40	F	ჩაიჭრა (დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არა არის საკმარისი, მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი და კრედიტების მისაღებად დისციპლინის კურსი განმეორებით უნდა მოისმინოს).

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;
ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა;
გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა;
დ) "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა;
ე) "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა;

ვ) "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა;
ზ) "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

„ა"-„ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების (ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი) მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი.
მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი;

„ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
უფლებას.

11. სასწავლო და კვლევითი კომპონენტი.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს (ECTS) და გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 25 კრედიტი:
- ✓ კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები- 5 კრედიტი
- ✓ დარგობრივი სემინარი - 15 კრედიტი
- ✓ პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კომპონენტები: 5 კრედიტი:
- ✓ პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი
- ✓ არჩევითი სასწავლო კურსი ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსი - 5 კრედიტი

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს:
- ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1
- ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2

- ✓ სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3
- ✓ სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1, 2 და 3 მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას მოიცავს და წარმოადგენს დაცვის წინაპირობას, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება.

სადოქტორო პროგრამაზე სწავლება მინიმუმ ექვსი სემესტრია (3 წელი).

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, საერთო საუნივერსიტეტო სქემის ფარგლებში, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

12. დასაქმების სფეროები:

უმაღლესი სასწავლებლები, კოლეჯები, საჯარო და კერძო სკოლები, სკოლისგარეშე დაწესებულებები, სამეცნიერო–კვლევითი ცენტრები, სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები, კომპანიები, ფონდები, ორგანიზაციები, ბიბლიოთეკები, არქივები, ლიტერატურული მუზეუმები, გამომცემლობები, მასმედია, ტურისტული კომპანიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.

13. სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის:

დოქტორანტურის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტისთვის შეადგენს 1000 ლარს.
სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.

14. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ–ტექნიკური ბაზა:

- ✓ თსუ-ს კომპიუტერული ბაზები;
- ✓ თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები;
- ✓ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი);
- ✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library

- ✓ თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები - https://e-learning.tsu.ge/
- ✓ თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. - https://www.tsu.ge/ka/library/page/893
- ✓ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ✓ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.

15. სადოქტორო პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალი:

ნოდარ ბელქანია, ფრიდრიხ გლაზლი, ცირილ ჰერინგი, ვერნერ ფოგელაუერი;

16. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:

სადოქტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

17. დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა:

- სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულება (30 კრედიტი);
- სამი სამეცნიერო კვლევითი პროექტის წარდგენა დარგობრივი კომისიის წინაშე;
- საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება (თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, დოქტორანტს აქვს საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება. სახელდობრ, დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში).

18. აკადემიური კეთილსინდისიერება:

აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.
დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება.

იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება.

საჯარო დაცვაზე ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტი ვალდებულია საკუთარი ნაშრომი ატვირთოს **პლაგიატის** დეტექციის პროგრამაში.

19. მისაღები კონტინგენტი:

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, სადოქტორო პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს 5 სტუდენტი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
მიმართულება: ინტერდისციპლური
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება
სწავლების საფეხური: დოქტორანტურა
კრედიტების რაოდენობა: 30 კრედიტი (ECTS)
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი ნოდარ ბელქანია, თსუ
პროფესორი ფრიდრიხ გლაზლი, ზალცბურგი, ავსტრია.

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 5/10/2016; N133

პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს (ECTS):													
სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (ECTS)													
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა						სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
				საკონტაქტო			გამოცდის დრო	დამოუკიდებელი მუშაობა	სულ		შემოდგომის	გაზაფხულის	
				ლექცია	სემინარი/	პრაქტიკული							

1		კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები[1]	5	30	--	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იაგო კაჭკაჭიშვილი ნინო დურგლიშვილი ლია წულაძე დავით სიჭინავა დავით სვანაძე ხათუნა მაისაშვილი თეონა მატარაძე რევაზ ჯორბენაძე ალექსანდრე კუხიანიძე კორნელი კაკაჩია
2		დარგობრივი სემინარი	15	--	--	--	--	375	375	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
3		პროფესორის ასისტენტობა	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ან სხვა სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი
არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი (ECTS)													
1		პროფესორის ასისტენტობა	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ან სხვა სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი

[1] ამ კურსის გასავლელად მნიშვნელოვანია დოქტორანტს ჰქონდეს ცოდნა, რომელიც შეესაბამება მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამაში შემოთავაზებულ სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ გაწერილ კომპენტენციებს . თუ მას შესაბამისი კომპენტენცია არ გააჩნია, მაშინ ის შესაბამისი პროგრამის მაგისტრატურის საფეხურზე გადის ზემოხსენებულ კურსს და შემდეგ ირჩევს სასწავლო კურსს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში.

2		არჩევითი სასწავლო კურსი ან საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურსები[2]	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	--
კვლევითი კომპონენტი													
1	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1												
2	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2												
3	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3												
4	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა												

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

[2] შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №1

განაცხადის ფორმა

სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:

(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები (საჭიროების შემთხვევაში).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:

(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:

(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400

ხელმოწერა:

თარიღი: